ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №55

25.12.2020 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. თედო ისაკაძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. დავით რურუა - კომისიის წევრი;
5. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი;
6. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032034578-03; 10.12.2020);**

- **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032035979-03 24.12.2020).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

სხდომა წარიმართა სპორტისა და ახალგაზრულ საკითხთა კომისიასთან ერთად.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

- **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032034578-03; 10.12.2020);

შ.ოგბაიძე - მოგესალმებით, მომხსენებლებს გთხოვთ წარმოგვიდგინოთ განსახილვევლი საკითხები.

გ.თალაკვაძე - მოგესალმებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა **1 050 302,5 ათასი ლარით,** რაც 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან **(1 021 400,6 ათასი ლარი)** მიმართებაში გაზრდილია **28 901,9 ათასი ლარით,** ხოლო 2021 წლის თავდაპირველად წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით **210 000,0 ათასი** ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა** - 174 263,8 ათასი ლარით.
- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება** - 194 636,5 ათასი ლარით.
- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - 148 944,1 ათასი ლარით.
- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - 4 164,4 ათასი ლარით.
- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - 39 157,3 ათასი ლარით.
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 154 136,0 ათასი ლარით.
- **განათლება** - 175 094,0 ათასი ლარით.
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 47 355,8 ათასი ლარით.
- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 4 402,3 ათასი ლარით.
- **ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - 108 148,4 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია **782 466,4 ათას ლარით,** მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება,პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები,

როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრულია **1 020 159,3 ათასი** ლარით, სხვა შემოსავლები **156 867,4 ათასი** ლარით, მათ შორის მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე **1 500,0 ათასი** ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით ასევე გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა. ვალის საპროგნოზო მოცულობა 2021 წლის ბოლოსთვის განსაზღვრულია **745 325,4 ათასი** ლარის ოდენობით. მათ შორის:

- ✓ თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება **(კოდი 10 42)** - **16 444,4** ათასი ლარი.
- ✓ თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა **(კოდი 10 47) - 3 200,0** ათასი ლარი.
- ✓ თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება **(კოდი 10 48) - 3 000,0** ათასი ლარი.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის** პრიორიტეტი დაფინანსებულია - **174 263,8 ათასი** ლარით, რაც ბიუჯეტის პირველად წარმოდგენილ პროექტთან **(72 223, 2 ათასი ლარი)** შედარებით გაზრდილია **102 040,6 ათასი** ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში, **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების** პროგრამისთვის **(კოდი 01 01)** გათვალისწინებულია **83 608,3 ათასი** ლარი, რაც ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიასთან შედარებით გაზრდილია **21 543,6 ათასი** ლარით. პროგრამის ფარგლებში, მოხდება ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია, გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა მოთხოვნებთან/პირობებთან. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება ცენტრალური და შიდაკვარტალური მნიშვნელობის საავტომობილო გზები, შემცირდება საცობების რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ნაკადების მაჩვენებლებზე.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, **ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (კოდი 01 02)** განისაზღვრა **90 655,5 ათასი** ლარით, რაც ბიუჯეტის პროექტის პირველად

ვერსიასთან შედარებით გაზრდილია **80 497,0 ათასი** ლარით. აღნიშნული თანხის ფარგლებში, ქვეპროგრამა **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01)** დაფინანსდება **22 655,5 ათასი** ლარით, ქვეპროგრამის თანხა ბიუჯეტის პირველად ვერსიასთან შედარებით გაზრდილია **12 497,0 ათასი** ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განხორციელდება ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია და გადასასვლელების მოწყობა. ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა, დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოწკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორებების (ბორცვები) დამონტაჟება; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება და სხვა ღონისძიებები.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) განისაზღვრა **18 000,0 ათასი ლარით.** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის ფარგლებში ავტობუსების შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადი.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) განისაზღვრა **50 000,0 ათასი** ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში, სუბსიდიის სახით დაფინანსდება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით. ასევე, დაფინანსდება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების სრულყოფილად ფუნქციონირების ხარჯები. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის პირველად ვერსიაში აღნიშნული ქვეპროგრამისთვის თანხა გათვალისწინებული არ იყო.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, პროგრამისთვის **საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01)** განსაზღვრულია **24 148,4 ათასი** ლარი. თანხა ბიუჯეტის პროექტის პირველად ვერსიასთან შედარებით გაზრდილია **14 857,8 ათასი** ლარით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მშენებლობა, აღდგენა - რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს

მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. ასევე, მოხდება ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა და სხვა.

შ. ოგბაიძე - წარმოდგენილ ბიუჯეტში ახალი, ჭკვიანი შუქნიშნების მონტაჟი რა სახით არის გათვალისწინებული.

გ. თალაკვაძე - ახალი, ჭკვიანი შუქნიშნების მონტაჟის ღონისძიებები გაგრძელდება იმ გეგმის მიხედვით, რომელიც აქვს დედაქალაქის მერიას, თუმცა 2021 წლის ბიუჯეტში არ არის შესაბამისი თანხა ასახული, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდება სესხის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032034578-03; 10.12.2020)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2.,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032035979-03 24.12.2020).

გ.თალაკვაძე - წარმოგიდგენთ მეორე საკითხს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, იზრდება შემოსავლების ნაწილში გადასახადები - **11 000,0 ათასი** ლარით (მათ შორის: ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი – **5 000,0 ათასი** ლარით, დამატებული ღირებულების გადასახადი - **6 000,0 ათასი** ლარით), სპეციალური ტრანსფერი - **30 000,0 ათასი** ლარით, სხვა შემოსავლების ნაწილში იზრდება პროცენტები - **7 000,0 ათასი** ლარით, შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - **1 462,0 ათასი** ლარით, ხოლო მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - **48 000,0 ათასი** ლარით და შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - **1 462,0 ათასი** ლარით შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს **1 121 648,1 ათას ლარს.**

მოძიებული რესურსების გათვალისწინებით იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) ქვეპროგრამის ასიგნება -1 500,0 ათასი ლარით და გახდა 54 585,4 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 901 868,1 ათასი ლარით და ნაშთის ცვლილება 219 780,0 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 853 437,4 ათასი ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 121 648,1 ათასი ლარით.

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 204 161,2 ათასი ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032035979-03 24.12.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

პატივისცემით,

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე